# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.— სამშაბათი, 6 ივნისი 1900 წ. № 1143

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

**ტელეფონი № 372.**


**გიგო, ზაზა** და **ლევან ივანეს ძენი ყიფიანები** და **მარიამ ივანეს ასული ქართველიშვილისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას თავის საყვარელის დედისას

**სოფიო ქარამანის ასული ყიფიანისას**

მიცვალებულის გვმის დასაფლავება იქნება ოთხშაბათს 7 ივნისს, სოფ. ქვიშხეთში. (1—1)

**ზოგიერთ, რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო გუშინწინ და გუშინ „ცნობის ფურცელი“ ვერ გამოვიდა.**

## მთავრობის განკარგულებანი

გამწესებულ იქმნენ აზნაურნი: ნიკოლოზ მახვილაძე და დავით ზაალიშვილი და გლეხი ლუკა ჩიქოვანი უმცროს ფოსტალიონებად, მათგან პირველი მახვილაძე ხონის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორაში, დავით ზაალიშვილი ტფილისისაში და ჩიქოვანი ბორჯომისაში.

სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა, თანახმად თავისავე თხოვნისა, ხონის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის ფოსტალიონი კასიან ბახტაძე.

დათხოვნილ და სამართალში მიცემულ იქმნა ბორჯომის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორის ფოსტალიონი იოსებ ჩიტავა, 29 მაისს.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან, თავისავე თხოვნით, გორის სამაზრო პოლიციის კანცელარიის მოხელე იოსებ მაისურაძე.

გორის სამაზრო პოლიციის საქმეთა მწარმოებელი კოლეჟ. სეკრეტარი სვანელი დაინიშნა ტფილისის საქალაქო პოლიციის მოხელედ.

## ახალი ამბავი

✦ „პრავ. ვესტნიკი“-ს სიტყვით, 27 მაისს ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი.

✦ ამას წინად აღძრული იყო კითხვა, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის სასწავლებლებში დაკანონებულ იქმნას 14 იანვრის **დღესასწაული**. შინაგან საქმეთა სამინისტროს სასურველად უცვნია წმ. ნინოს ხსენების წინა დღესა და 14 იანვარს მოსწავლენი წირვა-ლოცვაზე დასწრებოდნენ, მაგრამ სრულიად სწავლისგან განთავისუფლება ამ დღეს ვერ უცვნია მოსახერხებლად.

✦ პროფ. ვაგნერმა არ სცნო საშიშოდ თ. **ილია ჭავჭავაძის ავადმყოფობა**, მაგრამ ურჩია დასვენება და საზღვარ გარედ, ვისბადენში, წასვლა საექიმოდ.

✦ რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება ჰმართავს წელს სხვა-და-სხვა ალაგებში მეაბრეშუმეობის ნაწარმოების გამოფენა-კონკურსებს: ქ. ქუთაისში, ქ. ოზურგეთში, დაბა სამტრედიაში და დაბა ზუგდიდში. ხსენებულ გამოფენების თავმჯდომარეებათ არჩეულნი არიან შემდეგნი პირნი: საპატიო თავმჯდომარეთ—ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენ. მაიორი თ. კ. გერშელმანი. თავმჯდომარედ: ქუთაისში ა. ე. ვუჩინო, სამტრედიაში მაზრის უფროსი თ. გ. თ. დადიშქელიანი, ზუგდიდის მაზრის უფროსი ვ. ა. კეგამოვი და ქ. ოზურგეთში მომრიგებელი შუაკაცი თ. ტ. დ. ნაკაშიძე,

✦ კახეთიდან გვწერენ, რომ მთელი კახეთი ამ ჟამად დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი უპურობის გამო. შარშანდელმა სეტყვამ, რომელმაც თითქმის სოფელი არ გაუშვა უნახავად, გამოაცალა გლეხ-კაცს წლის სარჩო. თიბათვეში და მკათათვეში უწყალო სეტყვამ მთლად ამოაგდო სიმინდი. ამ ნაირად პურისაგან ხომ ცარიელი დარჩა და ახლა სიმინდიც ხელიდან გამოეცალა. გლეხი კაცის ის საზრდო, რომელსაც უფრო მომეტებულ ნაწილად ხმარობს ოჯახში და რომლისგანაც იმედი ჰქონდა ნახევარი წელიწადი მაინც იოლად წამიყვანსო, ერთად ერთი იმედი შიმშილისაგან დახსნისა იყო ღვინო. ღვინოც ცოტა თუ ბევრი მოუვიდა, გაყიდა ნახევარ ფასად და წავიდა სხვა მხარეს პურის სასყიდლად (მომეტებულ ნაწილად კახელმა გლეხმა ქიზიყიდან და პირიქითიდან შემოიტანა ნაყიდი ხორბალი). გარედან შემოტანილი პური გაზაფხულამდე ვერც კი შეჰყვა. ეხლა აღარც ფქვილი აქვს გლეხს და აღარც ფული, რომ წავიდეს ისევ იქითკენ პურისთვის. ისევ ამოდიან თელავში ფქვილისთვის, რომელიც ფუთი 1 მან. 40 კაპ. — 1 მან. 60 კაპ. ფასობს, ყიდულობს ფუთობით, ხშირად გამომცხვარსაც კი, რადგანაც მუდამ არ იშოვება ფქვილი, და მიაქვს თავის ოჯახში, განა ფუთობით ნაყიდი ფქვილი და გამომცხვარი კუჭს გაუძლობს იმოდენა ქულფათს! ეხლა ადვილი წარმოსადგენია, რა გაჭირვებასა გრძნობს დღეს კახეთი და საათობით მოელის იმ დროს, როცა ყანები გაიპრება, რომელსაც ისეთი მოსავლიანი პირი უჩანს, რომ სწორედ იმაზე ითქმის „ღვთის თვალი შიგა ტრიალებსო“.

✦ თელავის **სასულიერო სასწავლებელში** სწავლა და გამოცდა 27 მაისს დასრულდა. ხსენებულ სასწავლებელში წელს **სწავლა დაამთავრეს 14 მოსწავლემ**. ესენი ეროვნებით სულ ქართველები არიან, ხოლო სარწმუნოებით მართლმადიდებელნი. აი მათი გვარები: ხვედაბურიძე, მარკოზოვი, ბოჩორიძე, ზაუტოვი, ნაცვალოვი; კალატოზიშვილი, ჭრელაშვილი, ნატროშვილი, მთვარელიშვილი, გარსიევი, ქიტიაშვილი, კოლოტაძე, კობიაშვილი და მოლოდინოვი. ამათში პირველმა ხვედაბურიძემ გაათავა და გაგზავნეს კიდეც ტფილისის სასულიერო მართლმადიდებელთა სემინარიაში; დანარჩენთ ყველას ნება ეძლევათ ჩამოვიდნენ ტფილისის სემინარიაში ეგზემენების დასაჭერად.

✦ სათანადო მთავრობას უკვე წარუდგინა ტფილისის ვაჭართა საზოგადოების შუამდგომლობა ტფილისში **სავაჭრო სკოლის დაარსების შესახებ**. საზოგადოება თხოულობს ამასთანავე, რომ სკოლა გაიხსნას ელ. ივ. მანთაშევის სახელობაზე, რომელმაც სკოლის დაარსებისათვის 50,000 მანათი გამოიღო.

✦ ტფილისის სტამბების მოშუშავეთ გარდაუწყვეტიათ დააარსონ სტამბებში მომუშავეთათვის **სამარხო კასსა**. პროექტის განსახილველად ამ მოკლე ხანში მოწვეულ იქმნება ასოთ-ამწყობთა საერთო კრება.

✦ „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ ამ დღეებში შეიძინა გომარეთის სკოლისათვის **საკუთარი შენობა**. ეს შენობა, როგორც ჩვენ გავიგეთ, ენკენისთვის გასვლამდის მზად იქმნება. სასკოლო შენობაში მოთავსებული იქმნება მასწავლებლის ბინაც.

✦ რამდენად კარგადაა სწავლის საქმე დაყენებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ **ბათუმის სკოლაში**, ამას ნათლად ჰმოწმობს ის გარემოება, რომ წელს ხსენებულ სკოლის მეოთხე განყოფილებიდან ცხრა შეგირდი მისულა ბათუმის გიმნაზიაში საეგზამენოდ და ცხრასავე მშვენივრად დაუჭერიათ ეგზამენები. ორ შეგირდს მიუღია თითო საგანში „სამ-სამი“, დანარჩენებს კი სულ „ოთხები“ და „ხუთები“ მიუღიათ თვითოეულ საგანში. ბათუმის გიმნაზიის მთავრობა ძლიერ კმაყოფილია თურმე საზოგადოების სკოლის შეგირდების ჯეროვანის მომზადებით.

✦ ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია, სხვათა შორის, 30 მაისს ქალაქ თელავში ნადირაშვილის საქმე. ნადირაშვილი 19 წლიდან დაჭერილია. 16 წელიწადია, რაც ბორკილი აქვს ფეხებში გაყრილი, ოთხი წელიწადი კატორგა გაუთავებია, იქვე რამდენიმე ბოროტმოქმედება ჩაუდენია (2 კაცი მოუკლავს) და გამოქცეულა სახალინის კუნძულიდან, მოსულა საქართველოში და თიანეთის მაზრის ერთ სოფელში

დასახლებულა და კალატოზობა დაუწყვია. 6 თვის შემდეგ გაუგიათ და დაუჭერიათ.

ამ ტუსაღს ისეთი შეხედულება აქვს და ისეთი ზორბა და ტანიანია, რომ გეგონებათ ერთი დღე ციხე არ უნახავსო, ისეა ფერით ხორცით სავსე. ფეხებზე აცვია გრძელი საცვეთები, რომელიც ორ არშინამდე იქნება. ზედ გაკეთებული აქვს ბორკილი.

ოლქის სასამართლომ გარდაუწყვიტა 30 როზგის დარტყმა, 12 წელიწადი გამასწორებელ სატრაზმი და შემდეგ სახალინში საუკუნო კატორგა.

✦ გზათა სამინისტროს განკარგულებით, ყოველ წელს 1 მაისიდან 30 სექტემბრამდე **მუქთად შეუძლიანთ მოგზაურობა რუსეთის რკინის გზებით** დაბალ სასწავლებელთა იმ მოწაფეებს, რომელნიც მასწავლებლის ხელმძღვანელობით საექსკურსიოთ მიდიან ახლო ადგილებში არა უშორეს 50 ვერსისა და აგრეთვე იმ სნეულ და ავადმყოფ მოსწავლეებს, რომელთაც საქველ-მოქმედო საზოგადოებანი საექიმოდ ჰგზავნიან წყლებზე ან სანატორიებში.

✦ ვერის მემამულეს სვიმონიშვილს **დაუყვია** თავისი **მამული** ვარდისუბნის იქით **ნაწილ-ნაწილ** და შეღავათიანის პირობებით ჰყიდის მსურველთ. მამულის შუაგულს განზრახულია აშენდეს ეკკლესია, რის ნებართვაც უკვე აღებულიც არის.

✦ **საბოლოოდ** გარდაწყდა კითხვა, თუ როდის აიკრძალება **დრამატიული წარმოდგენები**: ათორმეტ დღესასწაულთა წინა-დღეებში, დიდ მარხვის 1-ლ, მე-4 და მეშვიდე კვირების განმავლობაში; სულ 38 დღე წელიწადში.

✦ ქუთაისიდან გვწერენ შემდეგს: „ერთი სიმპატიური დაწესებულებათაგანი ქუთაის ახალგაზდა ქალთა და ვაჟთა საკუთარის შრომით დაარსებული არის სახალხო თეატრი, რომლის შესახებაც არა ერთხელ გამოითქვა აზრი ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. აი სწორედ ამ საგანს გვინდა შევეხოთ ჩვენც ორიოდე სიტყვით. არა ვრაცხ საჭიროდ შეუდგე მის ქადაგებას, თუ რა აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს თეატრს ხალხისათვის, მეტადრე ჩვენში, სადაც ყოველი საქმე მცირე ნაბიჯით მიდის. ამიტომაც, ვიმეორებ, ეს სიმპატიური შრომა და ღვაწლი, რომელსაც ჩვენი ახალგაზრდობა ხარჯავს ამ საქმისათვის, მეტად საქებია. ვისურვოთ, რომ მათ ეს მარტო „მოდათ“ არ გაეხადოთ და იმ დიდ მიზანს არ გადასცდენოდნენ, რაიცა საფუძვლად აქვს სახალხო თეატრების დაარსებას.

როგორც ყოველ ახლად დაწყებულ საქმეში, ჯერ-ჯერობით არ არის შემუშავებული არავითარი პროგრამა, თუ რა ხასიათი მიეცეს სახალხო წარმოდგენებს. ამის მიზეზი უმთავრესად ის უნდა იყოს, რომ ჩვენ არა გვაქვს საკმაო სასცენო და ისიც სახალხო პიესები. მიუხედავად ამისა წარმოდგენები მაინც ერთ წერტილზე არა სდგანან და ამ წელს შესამჩნევი სხვადა-სხვაობა ეტყობა. წლევანდელი სეზონის წარმოდგენები არც ერთი არ უდრიდა ერთმანერთს ერთგვარობით. შესაძლებელია, ეს სხვადა-სხვა ხასიათი წარმოდგენებს გამგებლებმა მისცეს იმ მიზნით, რომ გაეგოთ, თუ რა უფრო მოსწონს ხალხს.

უკანასკნელი წარმოდგენა გაიმართა 6 მაისს. ეს სულ განსხვავდებოდა წინანდელებისაგან თავისი მრავალნაირი შინაარსით. წარმოდგენილ იქმნა ვოდევილი „ადამ და ევა“; შემდეგ იყო მუსიკალური განყოფილება, ლექსების კითხვა და ბოლოს ერთი ცოცხალი სურათი. საზოგადოება ჩვეულებრივად ბლომად დაესწრო. როდესაც ორკესტრი ასრულებდა დანიშნულ პროგრამას, „ხალხი“ როგორღაც სიამოვნებით არ მიეგება მას. აქა-იქ გაისმოდა—„არ გვინდა მუსიკა, საკმარისია მუზიკაო“. დანარჩენ ნაწილს წარმოდგენისას აღტაცებით მიეგებნენ. ბ-ნმა გრ. აბაშიძემ წაიკითხა ლექსები. ხალხს ძლიერ მოსწონს ბ-ნი აბაშიძის კითხვა და სცენაზე გამოსვლისათანავე ვაშას ძახილით ეგებება ხოლმე. სამწუხაროდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნი აბაშიძე ზოგჯერ მოუმზადებელი გამოდის სცენაზე. ამიტომაც მისგან წაკითხული მშვენიერი შინაარსიანი ლექსები საკმაო კმაყოფილებას ვერ აგრძნობინებენ ხოლმე მსმენელთ. იმედია, ბ. აბაშიძე შემდეგისათვის უფრო ყურადღებით მიეპყრობა და არტისტიულ მკითხველად (რაც მისთვის სრულიად გასაჭირი არ არის) წარუდგება ხალხს და არა ზარმაცი სკოლის მოწაფესავით სუფლიორის მოიმედე.

წარმოდგენის შინაარსზედ და მისს საერთო შთაბეჭდილებაზედ ჩვენ არაფერს ვიტყვით. ყველაფერი ერთბაშად არ მოეთხოვება ადამიანს. მხოლოდ ერთ რაიმეს მივაქცევთ გამგებლების ყურადღებას. როგორც შევვინიშნავს, გამგე წარმოდგენების არ აღევნებს თვალ-ყურს ხალხის აზრს, მისს შთაბეჭდილებას წარმოდგენის შესახებ. მაგალითად, მაღლა, ქანდარაზედ, სადაც მართლა «ხალხია», ძვირად შეხვდებით რომელიმე გამგეს და თუ იქნა იქ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბილეთები შეამოწმოს, რის შემდეგაც ის დარბაზში მიეშურება, სადაც უმრავლესობას „ხალხი“ არ შეადგენს

ასე შორს თავის დაჭერა ხალხთან და მათ სასარგებლოდ კი მოქმედება არ ეთანხმებიან ერთმანერთს. სასურველია, გამგე კომისიის წევრები დაუახლოვდნენ ხალხს და შეჰკრიბონ ცნობები, თუ რა უფრო მოსწონს მას.

ჩვენ ვგონებთ, რომ ეს ცოტად თუ ბევრად, გაუადვილებს მათ შრომას იმის შესახებ, თუ რა გვარი პიესა იქმნას დადგმული, რის რჩევასაც ისინი ერთობ ბევრ დროს ანდომებენ. დღევანდელი გამგეები კი ხელმძღვანელობენ საკუთარის აზრით ამის შესახებ და აძლევენ წარმოდგენებს ისეთ ხასიათს, რაც მათ საუკეთესო ჰგონიათ ხალხისათვის.

იყო წელს ისეთი წარმოდგენა, რომელიც ხალხმა სულ ვერ გაიგო და გამგეთათვის არა-სასურველი გრძნობანი გამოიწვია ხალხში; ამის ასაცდენად საჭიროა კომისია გაეცნოს ხალხის აზრს და მისს გონებრივ განვითარებას.

როგორც გავიგეთ, აზრათა აქვთ აწინდელი წარმოდგენები გამართონ რომელიმე მწერლის პატივსაცემლად და ამით გააცნონ ხალხს მათი ნაწერები, მოღვაწეობა და მნიშვნელობა. ეს, მართლაც, მეტად სასიამოვნო ნაბიჯი იქმნება სახალხო თეატრის ისტორიაში, მაგრამ სასურველია, თქმისთანავე არ შეუდგნენ ასრულებას.

იმისთვის, რომ ეს აზრი განხორციელდეს და სასურველი მიმართულება მიეცეს, მომზადებაა საჭირო და არა მარტო სცენაზედ გამოსვლა. საუკეთესო ნაწარმოები უვარგისად შეიძლება გარდიქმნას უვარგის მსახიობის ხელში. ამ აზრის სისრულეში მოყვანას უფრო რთული შრომა უნდა. წინდა-წინვე განსაზღვრული მიმართულება უნდა მიეცეს, რომ მან შესაფერი ადგილი დაიჭიროს ხალხის თვალში“.

✦ **შეცდომის გასწორება.** უკანასკნელ ნომერში კორექტურული შეცდომაა: „დიმ. ფაჩულიშვილი არჩეულ იქმნა ბანკის დირექტორად“, უნდა იყოს —„დამფასებლად.“

---

## ბრძანება უმართებულეს სენატს.

(დასასრული*)

8) ნადელების მიზომის დროს აღძრული დავა საზოგადოებებსა, სოფლებსა და უბნებს შორის გაირჩევა დაარსებულ წესით.

9) საზოგადოებებს და სოფლებს, რომელთ კავკასიის მთავარ-მმართებლად ნამყოფ [illegible] ნება აქვთ მიცემული სახელმწიფო ტყეებიდან სხვა-და-სხვა ხის მასალის გამოტანაზედ საოჯახო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად,—ეს უფლება შემდეგშიაც შერჩებათ. ამ საგნის სასურველი გაწეს-რიგება მიენდობა მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს და კავკასიის მთავარ-მართებელს.

10) იმ ადგილებში, სადაც ტყე იმდენად ბევრია, რომ შესაძლებელი შეიქმნება ხის მასალის მაგივრად — სოფლებს და საზოგადოებებს მიეცეს პირდაპირ ტყეები ნადელად, ტყეები ეძლევათ საზოგადოებებს და სოფლებს.

11) ტყის მასალის სარგებლობისათვის ან ტყის ნადელად მიზომისათვის გლეხ-კაცობამ უნდა იხადოს ხაზინის სასარგებლოდ ტყის ბაჟი «ЛѢСНОЙ НАЛОГЪ».

12) ნადელად მიზომილ მიწებით და ტყეებით გლეხ-კაცობა ხელშეურებლად უფლობს, და არ შეიძლება ამისი სხვისთვის გადაცემა ან ვალებში წართმევა. მხოლოდ ის მიწები და ადგილები, რომელთ გლეხკაცი მფლობელობს მემკვიდრეობით, შეიძლება შეისყიდოს იმავე საზოგადოების გლეხმა ან მთელმა საზოგადოებამ. ასეთი ადგილები თავისუფალნი არიან სასამართლოსაგან დაკისრებულ გარდასახადისა და ჯარიმისაგან.

13) მიწის გულში აღმოჩენილ მადნეულობის შესახებ, აქაც შეურყეველ ძალაში უნდა იყოს ის წესები, რომელნიც ჩამოთვლილია სამთო კანონების 201 მუხლში. (კანონთა კრებული. ტ. VII, ნაწ. I. გამოც. 1893 წლისა).

14) მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს დაევალება წარადგინოს კანონმდებლობის წესით დასამტკიცებლად: I პროექტი ნადელების განაწილების და საქმის წარმოების მოწყობის შესახებ ტფილისის, განჯის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში; ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის, ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში, აგრეთვე სოხუმის ოლქში. მოსაზრება იმის შესახებ, თუ სად შეიძლება გლეხ-კაცობა ტყის მასალის ჭრის მაგივრად მიეცეთ ტყე ნადელად და 2) ნუსხა საჭირო მოხელეთა და საჭირო ხარჯთ აღრიცხვა.

II ნადელების მიცემა საეკლესიო კრებულს ტფილისის, განჯის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში, ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის, ზუგდიდის სენაკის და ოზურგეთის მაზრებში და სოხუმის ოლქში, თუ ამისათვის აღმოჩნდება თავისუფალი ადგილები თანახმად გამიჯვნის კანონების 349 მუხ. 1 და 2 შენიშვნისა; უკეთუ არ აღმოჩნდება მიწები

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1142

მკვლესიის კრებულს დასაკმაყოფილებლად, მაშინ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო მამულების მინისტრი უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის თანახმად მიიღებს ზომებს სასულიერო წოდების დასაკმაყოფილებლად.

III მიენდოს მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, რათა, შინაგან საქმეთა მინისტრთან და კავკასიის მთავარ-მართებელთან შეთანხმებით, სახელმწიფო ადგილებზედ მცხოვრებთა შესახებ კანონების თანახმად გააწეს-რიგოს მიწის მფლობელობა უბინადრო გლეხთა (кочевники) იმ ადგილებში, სადაც კი შესაძლოდ აღმოჩნდება.

დედანზედ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა ხელით მოწერილია:

«ნიკოლოზ».

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**2 ივნისი**

**პეტერბურგი.** გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება ჩამომავლობითი აზნაურობის უფლების მისაღებათ საჭირო საბუთების შესახებ და ახლად დამტკიცებულ აზნაურთა გვაროვნობის სიაში ჩაწერის წეს-რიგი.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკი ლაპარაკობს ჩინეთში არეულობის შესახებ და აცხადებს, რომ მთავრობამ მისწერა მაკდონალდს და ადმირალს სეიმურს იმოქმედონ სხვა სახელმწიფოებთან თანახმად და ყოველი ღონის ძიება მიიღონ ინგლისის მისსიის და ქვეშევრდომთა დასაცველად. რუსეთის ელჩთან თათბირის შემდეგ მაკდონალდს მიენდო აღმოუჩინოს დახმარება ჩინეთის იმ უფროსებს, რომელთაც სურვილი აქვთ დაიცვან წესიერება. სახელმწიფოთა შორის სრული შეთანხმება ჰსუფევს ადმირალების მოქმედების შესახებ, რომელთაც უნდა დაიცვან ევროპიელნი და მათი ქონება. მიღებულია ზომები იანცზეკიანგიზე ჯარების გაძლიერებისათვის.

**ტიანცზინი.** 2000 კაცი რუსეთის ცხენოსანი ჯარის და არტილერიისა მოვიდა ტაკუში.

**კაზანი.** ყაზანის გუბერნიაში მოსავალს ყველგან კარგი პირი უჩანს და ამიტომ შვრიამ და შავმა ხორბალმა ფასებში დაიწია.

**კალიში.** კალიშის მაზრის სოფ. ვილკშიცი მთლად გადაიბუგა ცეცხლისგან. დაიღუპა 600 ცხვარი და ორიც კაცი.

**კოვნო.** ასეთი გვალვის მომსწრე არავინ არის. ბალახი მთლად მოიწვა და მოიფშრუკა. მოსავალი გაფუჭდა.

**პარიზი.** საფრანგეთის გემი „Raride“ ტაკუში მიდის, ტიანცზინის კონსული დეპეშით იტყობინება, რომ საფრანგეთის კონცესიაზე მშვიდობიანობა ჰსუფევს. კონცესიას იცავს რუსეთის და საფრანგეთის ჯარის კაცნი.

**იოკაჰამა.** მოავრობის მოწინაღმდეგე გაზეთები უკმაყოფილებას აცხადებენ მთავრობის მოქმედებაზედ. იმპერატორმა მიიწვია მარკიზი იტო საქმეთა მდგომარეობის შესახებ სათათბიროდ.

**ვენა.** ხედივი აბბას-ფაშა ლონდონში წავიდა.

**ვაშინგტონი.** მთავრობა უაზროდ და უმნიშვნელოდ სთვლის ჩინეთში ჯარების გაგზავნას, მაგრამ აცხადებს, რომ ყოველ ამერიკელის მოკვლაში ან სასულიერო მისსიების შელახვაში პასუხს აგებს ჩინეთი შეერთებულ შტატების წინაშე.

**ტიანცზინი.** პეკინთან გამწვავებული ბრძოლაა უცხოელთა და გენერალი ტუნგფუსიანგის ჯარებს შორის.

**შანჰაი.** იაპონიის მისსია პეკინში მთლად გადაწვეს. მოკლეს ერთი ელჩი.

**3 ივნისი**

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება: „ბურების სარდალმა კრონიემ იარაღი დაჰყარა კლერკსდორპთან. მის წინააღმდეგ გუნტერისაგან გამოგზავნილ ჯარს დამორჩილდა, როცა შეიტყო პრეტორიის აღება. ბევრმა კრონიეს ქვეშევრდომმა მიჰბაძა უფროსთა მაგალითს. სასამართლოს სადგომი სავსეა ჩამორთმეული იარაღით“.

**როსტოვი-დონზე.** იტყობინებიან, რომ სოფ. ჩალტირ კრიმში სეტყვამ ათასი დესეტინა ქინახული მთლად გაანადგურა.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება: „30 მაისის ბრძოლაში ბურებმა უმთავრესი ყურადღება მიაქციეს ჩვენი ჯარების ორთავე ნაპირებს და შუაგულ ჯარს თავი დაანებეს. გამილტონი თავისი ჯარით შესამჩნევად ომობდა. ინგლისელებმა ასი კაცი დაჰკარგეს. ცხენოსანი ჯარი დაედევნა ბურებს. გამილტონი ოდნავ დაიჭრა მხარში, მაგრამ რაზმიდან ფეხი არ მოიცვალა“.

ბადენ-პაუელი დეპეშით იტყობინება რუსტენბურგიდან, რომ წაუყვანია ტყვედ ასი მეამბოხე და რვაასი კაცით შევიდა პრეტორიაში. მტერს იარაღს ვაყრევინებთ და სურსათს ვართმევთ. 600 ბურმა თავის ნებით აიყარა იარაღი; 230 კაცი ტყვედ არის წამოყვანილი.

**ჰონგკონგი.** ტიანცზინს წავიდნენ 275 კაცი და დანარჩენი იქ წასასვლელად დანიშნული ჯარებიც გაიგზავნებიან.

**ტიანცზინი.** ტიანცზინ ტაკუს რკინის გზას იცავენ. ხმაა გავრცელებული, რომ ჩინეთის საიმპერიო ჯარები თავს დასხმიან უცხოელთა ნარევ ჯარებს. გენერალი დუნფუსიანი უფროსობს მოწინავე რაზმს და ნიჩი დანარჩენს, სიმაგრე ტაკუდან და ჩინეთის გემებიდან დაუწყებენ სროლას უცხოელ გემებს, რომლებიც სდგანან პეიხოს შესავალში. კორრესპონდენტი ჰფიქრობს, რომ უცხოელთა ჯარები პეკინს ისე შევა, რომ წინაღმდეგობას არავინ გაუწევს. გენ. გუანის ჯარები შანჰაიშია. რუსეთმა მოიტანა ოთხი ზარბაზანი. ხმა არის, ვითომც მთელი ჯარი, 1.700 კაცისაგან შემდგარი, ცხენებით და ზარბაზნებით პარასკევს შევა პეკინში. იტყობინებიან, რომ გენ. ნიჩი მთავრობამ გადააყენა სამსახურიდან.

**3 ივნისი**

**ლონდონი.** კიტჩენერი იტყობინება, რომ ბურები თავს დაესხნენ მდ. რენოსტერიდან რამდენიმე მილის სიშორეზე ინგლისელთა რაზმს, რომელიც მუშაობდა რკინის გზის შეკეთებისათვის, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ; ინგლისელთ ერთი მოუკლეს და 11 დაუჭრეს, მათ შორის ორი ოფიცერიცაა.

**ვაშინგტონი.** სამინისტრო არჩევს კითხვას ჩინეთში ჯარის გაძლიერების შესახებ.

ამერიკელი კონსული იტყობინება ტიანცზინიდან, რომ ქალაქში დათარეშობს ბრბო, მაგრამ მთავრობამ ვერ შესძლო მისი ალაგმვა; უცხოელთათვის ჯერ ხელი არ უხლიათ.

**ტაინცზინი.** ხმა არის, რომ უცხოელთა ჯარებს განზრახვა აქვთ დაიპყრან ტაკუს სიმაგრეები.

**შანჰაი.** პეკინში ჩინეთის ჯარი სდგას 100 ათას კაცისაგან შემდგარი. ქალაქის ალაყაფის კარები დაიკეტა და ზარბაზნები დაიდგა. დუნმა გამოაცხადა, რომ ვერც ერთი რაზმი უცხოელთა ვეღარ შევა ქალაქში. უცხოეთის ელჩებმა ულტიმატუმით მიჰმართეს ცუნგ-ლი-იამენს გაეღეთ ალაყაფის კარებიო, მაგრამ პასუხი არ მიიღეს.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ სხვა სახელმწიფოებმა სთხოვეს ამერიკის შტატებს—გამოერკვია თავისი მდგომარეობა ჩინეთში. მინისტრი ამბობს, ამერიკა დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს ჩინეთში და სხვებთან ერთად მოქმედობს მხოლოდ კრიზისების დროს. მინისტრი ჰფიქრობს, რომ ინგლისმა და რუსეთმა სხვა სახელმწიფოებისაგან აიღეს ნებართვა ჩინეთში ჯარების გაგზავნის შესახებ, ხოლო ამერიკისაგან ამგვარი ნებართვა არ უთხოვიათ.

**ირკუტსკი.** კალგანიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ პეკინში უცხოელნი გარშემორტყმულნი არიან და ყოველივე მიმოსვლა კალგანსა და პეკინს შუა შეწყვეტილია. კალგანს ამბოხება ძლიერდება; იყო შემთხვევა მისსიებზე თავ-დასხმისა. საშიში მდგომარეობაა.

**ესსენტუკი.** ექიმმა ზერნოვმა დააარსა სანიტარების საზოგადოება, რომლის წესდება უკვე დაამტკიცა სამხედრო მინისტრმა. სანატორიების გახსნისთვის უკვე შემოუწირავთ 17.000 მანათი.

**ლონდონი.** ბლუმფონტენიდან იტყობინებიან, რომ დევეტმა ტყვედ წაიყვანა იომანრისა და დევონშირის პოლკის ერთ ბატალიონის გარდა, კიდევ ორი როტა თავისუფალ მეომართა.

**კოპენჰაგენი.** შანჰაიდან იტყობინებიან, რომ პეკინსა და ტიანცზინის შუა ფოსტის მიმოგზავნა შესწყდა.

**ტიანცზინი.** უცხოელთა აქაური უბნები კარგად არიან გამაგრებულნი. ქალაქის ჩინეთის ნაწილში „დიდი მუშტის“ ბრბომ დასწვა სამი საჯვარე და შიშის ზარი დასცა მკვიდრთ. ტიანცზინისა და ლაგფანგის შუა რკინის გზის ლიანდაგი გააფუჭეს და ამიტომ შეჩერდა უცხოელთა ჯარების წინსვლა. გერმანიის ელჩი გზა ტკეცილით მოვიდა პეკინს. ცუნგლიამენმა ნება დართო, რომ 1200 უცხოელი ჯარის-კაცი იქმნას მხოლოდ შემოშვებული პეკინში.

**კაპენჰაგენი.** ტიანცზინისა და შანჰაის შუა ტელეგრაფის მუშაობა შეწყდა. ჰფიქრობენ, რომ ტიანცზინთან ბრძოლა ასტყდა.

**ლონდონი.** მთავრობის წრეებში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ

გაიგზავნოს სამხრეთ აფრიკიდან ჩინეთში ორი ბრიგადა.

ტიანცზინიდან ცნობა მოვიდა, რომ პეკინში დამწვარა კათოლიკეთა საკრებულო ტაძარი.

**იოკაჰამა.** იაპონიის მოხელის მოკვლამ ჩინელების მიერ მეტად აღელვა იაპონელი საზოგადოება. გაზეთები თხოულობენ სასტიკს ზომების მიღებას. ტაკუს გაიგზავნა 8 სამხედრო გემი.

**ჰონკონგი.** დასავლეთ მდინარის ახლო უწესოება მოხდა. ხმა არის, რომ დიდძალ მეამბოხეებს კვენჩუნკთან მოუყრიათ თავი.

**კაპშტადტი.** გორდონ სპრინს იმედი აქვს ორშაბათს შეადგინოს სამინისტრო.

**ლენზენეკი.** ფოლკსრუტის ოლქის ბევრი ბური დანებდა ინგლისელთ.

**პარიზი.** გარდაიცვალა პრინცი ჟუანვილისა.

4 ივნისა.

**ლონდონი.** სლოფთან მოხდა მატარებელთა შეტაკება; 4 კაცი მოკლულია, 60 დაჭრილი.

**შანჰაი.** ტიანცზინიდან იტყობინებიან, რომ იქ უწესოება მომხდარა, რომლის დროსაც, სხვათა შორის, დაუწვავთ სამი ინგლისური და ამერიკული ეკკლესია და მრავალი სახლი უცხოელთა. ტელეგრაფი გაფუჭებულია; ბოძები დაუწვავთ, რის გამოც დეპეშების მიმოგზავნა დიდის ხნით შესწყდა. 1000 ჩინელი ჯარის-კაცი, რომელიც პეკინთან იდგნენ, უცხოელთა სიტყვით, „დიდი მუშტის" პარტიას მიჰკედლებია. შემდეგ ამბობენ კიდევ, რომ ჩინეთის მთავრობა თავისს თავს პასუხის-მგებლად არა სთვლის, თუ ჩინეთის ჯარებსა და ევროპიელ ჯარებს შუა შეტაკება მოხდა.

**ვენა.** „პოლიტიშე კორრესპონდენტ"-ი იტყობინება, ვითომც იაპონიის მთავრობას 1000 ჯარის-კაცი გაეგზავნოს ტიანცზინს ჩრდილოეთ იაპონიაში მყოფ იაპონელთა და სხვა უცხოელთა დასაცველად.

**ბაქო.** აკოფოვის, მანთაშევის, ეილშაუს, ზეინალოვის და სხვათა ნავთის წყაროებში—საბუნჩას,—გაჩნდა ცეცხლი. ზარალი 500.000 მანათს უდრის.

**ჰონგკონგი.** ინგლისის გემი „ტერრიბლ"-ი სდგას ტაკუში ორი მსროლელთურთ; ემზადებიან ზარბაზნების გადმოღებისათვის ხმელეთზე. გემი „უნდაუნტედ"-ი უეცრად წავიდა ჩრდილოეთით. გემის მისასვლელი ადგილი და დანიშნულება აღნიშნული აქვს უფროსს დახურულ კონვერტში, რომელიც ნავთ-სადგურის გაცილების შემდეგ უნდა გახსნას.

**ბერლინი.** გემი „კელნი" წავიდა ცზანტაუსაკენ ახალის ჯარით.

**ლონდონი.** ბულლერი დეპეშით იტყობინება ლენგსნეკიდან, რომ ბურებს ძალიან აუოხრებიათ ნატალი.

**პარიზი.** შვედთა მეფე წავიდა პარიზიდან.

**სოფია.** ვარნის ოლქის დურანკულაკის მცხოვრებლებმა წინააღმდეგობა ამოუჩინეს გადასახადთა ამკრებთ. სოფელში გაიგზავნა ცხენოსანი რაზმი. გლეხები მას მიეგებნენ თოფების სროლით და მოჰკლეს ორი ოფიცერი; ჯარმა დაიწყო სროლა და დასჭრა 30 გლეხი; მაშინ სოფლელები გაიფანტნენ. ამ ამბის გამო ვარნისა და შუმლას ოლქებში შემოღებულ იქმნა სამხედრო წეს-რიგი.

**პარიზი.** ელექტრონის გზის ვაგონი საშინელის სისწრაფით გამოქანდა ტროკდეროდან, გადააბრუნა ორი ეტლი და გაჩერდა ალმას ხიდთან; 1 მოკლულია და 13 დაჭრილი.

**ლონდონი.** რობერტსი პრეტორიიდან იტყობინება, რომ გუშინ ბადენპაუელმა დაიჭირა რუსტენბურგი. დღეს მიდის რაზმი, რომ შეუერთდეს მის ჯარს, გენტერი მიდის პოტჩეისტრომიდან მისი ავანგარდი იოჰანესბურგში უეჭველია 6 ივნისს მივა. გეიდელბერგს მალე დაიპყრობენ, შემდეგ ამისა ორანჟეს ახალშენი სრულიად მოწყვეტილი იქნება ტრანსვაალისაგან.

ბიდენ-პაუელი იტყობინება, რომ იმ ადგილებში, სადაც მან გაიარა, მშვიდობიანობაა: ათასზე მეტი თოფი ჩაუბარებიათ მისთვის. მალე დაგემორჩილდებიან განსიელოფია და პიტ კრიუგერი, შვილი პრეზიდენტისა. ბოტას არიერგარდის როტა, რომელსაც წამოეწია გამილტონი, გაიქცა და ბოტას ლაშქარმა უკან დაიხია.

**ლიუბეკი.** არხის გახსნის დღესასწაულზე იმპერატორმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოხატა, რომ მის სულს ადიდებს მხიარული გრძნობა, რომ გერმანიას ახლა იმედი აქვს იქონიოს როდისმე ფლოტი. (საერთო სიხარული „ვაშა"!) გერმანიამ უნდა იქამდე მიაღწიოს, რომ შეეძლოს თავის ზარბაზნებით დაიცვას საკუთარი სავაჭრო ფლოტი მთელ ქვეყანაზე. იმპერატორმა სთქვა დასასრულ: „ინებოს ღმერთმა, რომ ფლოტის გაძლიერებით დაგვემყარებინოს მშვიდობიანობა გარეთ და არხების გაყვანით გაადვილებულ იქმნას მიმოსვლა თვით სახელმწიფოში, რასაც ჩვენ ძალიან ვსაჭიროებთ" (ძლიერი მოწონება).

იმპერატორი წავიდა გელგოლანდს.

5 ივნისა

**პეტერბურგი.** 4 ივნისს ბერძენთა დედოფალი მივიდა გატჩინოს იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულთან.

4 ივნისს ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტესის შვილებით გადავიდნენ საცხოვრებლად ცარსკოე სელოდან ახალ-პეტერგოფში.

**ბერლინი.** „ვოლფის სააგენტო" იტყობინება, რომ ლონდონის გაზეთებში დაბეჭდილია „ლაფანის საავენტოს" დეპეშა გონკონგიდან, ვითომც პეკინგში მეამბოხეთ დაუქცევიათ ყველა საელჩოები და მოუკლავთ გერმანიის ელჩი. „ვოლფის საავენტო" ამას უმატებს, რომ ბერლინში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოსულა.

**პარიზი.** გარეშე საქმეთა სამინისტროს არაფერი არ მოსვლია იმის შესახებ, რომ პეკინში საელჩოები დაუქცევიათ და გერმანიის ელჩი მოუკლავთ. სამინისტრო აცხადებს, რომ რადგანაც პეკინში ტელეგრაფი აღარ მუშაობს, ამიტომ ყოველგვარი ცნობა სიფრთხილით უნდა მიეიღოთ.

**ვაშინგტონი.** მთავრობას არავითარი ცნობა არ მოსვლია პეკინში საელჩოების დაქცევისა და გერმანიის ელჩის მოკვლის შესახებ. რადგანაც ამერიკის კონსულისგან და არც ადმირალ კემპისაგან არავითარი ცნობა არ მოსულა, ამიტომ „ლაფანის საავენტოს" ცნობას არ ერწმუნებიან; მაგრამ ის გარემოება, რომ გუშინდელ დღის შემდეგ აღარავითარი ცნობა ჩინეთიდან არ მოდის, შიშს ჰბადავს. თუ არ მოვიდა ახლავ ცნობა კემპისაგან მანილიდან ტაკუსაკენ გაიგზავნება მსწრაფლ-მავალი გემი ამბების შესატყობად.

**ტიანცზინი.** ცნობა მოვიდა, რომ 31 მაისს, საღამოს, „დიდი მუშტის" ჯარი შევიდა პეკინში. რამდენიმე მისსიის შენობა დაქცეულია; უცხოელთა საელჩოებს მეამბოხენი თავს დაესხნენ, მაგრამ უკუგდებულ იქმნენ მაქსიმის ზარბაზნების საშუალებით. ჯერ-ჯერობით ევროპიელთ ზარალი არ უნახავთ. ჩინეთის ჯარი საიმედოთ არ მოქმედობს.

**ლონდონი.** ლენგნეკიდან იტყობინებიან, რომ ბურებს თავი დაუნებებიათ იმ გორაკებისათვის, რომლებიც ფოლკსრუტს დაჰყურებენ. ამბობენ, რომ რამდენიმე რაზმი ბურებისა ვაკკერსტრასთან სდგასო. დღემდის ფოლკსრუტში 100 ბური დამორჩილდა ინგლისელთ. ძალიან აცივდა.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | . | 1 | გ. 10 | კ. |
| სუკი . . . . . | » | — | 15 | კ. |
| » ცხვრისა . . . | » | — | $8^1/_2$ | კ. |
| » ღორისა . . . | 1 | — | 8 | კ. |
| » კამეჩისა » » | » | — | 8 | კ. |
| » ღორის ზარგალი სალორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იისფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თონისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

**ტფილისის ბაზრები:**

| გაიყიდა მეიდნებზე: | კოგზალზე, | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
| | 1 | 1 | 30 | 120 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . | 1 | 1 | 1— | 5— |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 80— | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20— | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10— | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60— | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60— | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50— | — |
| თივა . . . . . | 1 | — | 30— | — |
| ბზე. . . . . . | 1 | — | 28— | — |

შუშა რძხილისა 1 სრული საუ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

გამომც. გ. ბუნია



სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.